

უაკ (YDC)

რიტმული პატერნები ბიძინა კვერნაძის ქორეოგრაფიულ პოემაში „ბერიკაობა“

ლევან ბაგრატიონ-დავითაშვილი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, გრიბოედოვის 8.
დოქტორანტი (სპეციალობა კომპოზიცია)

ხელმძღვანელები:

ნოდარ მამისაშვილი, კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, პროფესორი ემერიტუსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი, საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ზგერითი ეკოლოგიის ცენტრის მთავარი კოორდინატორი, აკადემია ნოსფეროს აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი. მარინა ქავთარაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების სრული პროფესორი.

ანოტაცია.

სტატიაში განხილულია რიტმული პატერნები ბიძინა კვერნაძის ცნობილ ნაწარმოებში „ბერიკაობა“ (ქორეოგრაფიული პოემა დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის). პატერნები დაჯგუფებულია სტრუქტურისა და მეტრის მიხედვით. გამოყოფილია მიყოლებული და დაშორებული პატერნები. განხილულია პატერნებში რიტმული ფიგურები და ინსტრუმენტების ფუნქციები.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბიძინა კვერნაძის ნაწარმოები „ბერიკაობა“ საინტერესოა როგორც რიტმული პატერნების თვალსაზრისით, ასევე მცირე რიტმული მონაკვეთებით, რომელთა კონცენტრაციაც ქმნის ინტენსიურ პატერნებს. ისინი წარმოადგენენ ნაწარმოების მთლიან ქარგას. პატერნებისა და რიტმული მონაკვეთების ხშირი მონაცვლეობა განსაზღვრავს სწორედ ნაწარმოების დინამიკურობას, რაც სავსებით მიესადაგება მის შინაარსს: სადღესასწაულო, საცეკვაო მუსიკას, რომელშიც, ბუნებრივია, რიტმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საკვანძო სიტყვები: ბიძინა კვერნაძე, ბერიკაობა, რიტმული პატერნი, ერთგვაროვანი და ცვალებადი მეტრის მექანე პატერნი, მიყოლებული და დაშორებული, მარტივი და შედგენილი.

ბიძინა კვერნაძე ქართული მუსიკის სამოციანელთა თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში სიახლე გამოვლინდა ყველა ჟანრში. განსაკუთრებული წარმატება და საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად მის სიმფონიურ ნაწარმოებს „ცეკვა ფანტაზია“ (1959), რომელიც არა მარტო კომპოზიტორის დიდ გამარჯვებად, არამედ განახლებული ქართული მუსიკის თავისებურ მანიფესტადაც იქცა. 60-იან წლებში (I სიმფონიასა და II საფორტეპიანო კონცერტში) გამოვლინდა კომპოზიტორის გატაცება რიტმის ენერგეტიკით, ტოკატურ-ოსტინატური საწყისით, რაც ამ პერიოდში საბალეტო ჟანრით დაინტერესებით აიხსნება. კერძოდ, 1964 წელს დაიწერა კვერნაძის ორაქტიანი „ქორეოგრაფიული ნოველები“ (ლ. გუდიაშვილის ნახატების მოტივებზე). მოგვიანებით, მის მასალაზე დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული პოემა „სერაფიტა“ (1965) და პიესა კამერული ორკესტრისათვის -

„მოლოდინი“ (1968) შეიქმნა. ხალხური სანახაობის მოტივებზე შექმნილ ერთაქტიან ბალეტ „ბერიკაობაში“ (ქორეოგრაფი გ. ალექსიძე, 1973), რომელიც ქართულ ხალხურ ნიღბებს აცოცხლებს, ეროვნული ცეკვის სტიქიის რიტმული დინამიკა და კონსტრუქტივისტული ფაქტურა განმსაზღვრელი გახდა (). ბალეტის მუსიკის საფუძველზე შეიქმნა ბიძინა კვერნაძის „ბერიკაობა“, ქორეოგრაფიული პოემა, დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (თბილისი, 1979 წ.), რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია რიტმული პატერნის მნიშვნელობის გამოკვეთა, პატერნის სახეების განსაზღვრა და მასში მონაწილე ინსტრუმენტების ფუნქციის გაანალიზება კვერნაძის „ბერიკაობის“ მაგალითზე.

პატერნი - (ინგლისური სიტყვა) ნიშნავს: ნიმუშს, მოდელს, ყალიბს, შაბლონს. მუსიკაში პატერნი ნიშნავს ერთხელ მაინც მელოდიური მონაკვეთის, ან აკორდების კომპლექსის, ან რიტმული ფიგურების, ან ფაქტურული ფორმულირების და ა.შ., გამეორებას. რიტმული პატერნი კი არის კონკრეტული რიტმული ფიგურის გამეორება.

ამ ნაწარმოებში მოცემულია რიტმული მონაკვეთები, რომლებიც მიყოლებით მეორდება. ჩვენი აზრით, ეს განმეორებადი რიტმული ფიგურები სხვა არაფერია, თუ არა რიტმული პატერნები. ამის თქმის საფუძველს იძლევა თვით ნაწარმოების თემატიკა. „ბერიკაობა“ პროგრამული ნაწარმოებია, რომელიც დაკავშირებულია სადღესასწაულო განწყობასთან, ცეკვებთან და შესაბამისად, მასში მრავლადაა რიტმული ფიგურები, რაც ნაწარმოების საყრდენს წარმოადგენს. ავტორმა საზეიმო განწყობა სწორედ რიტმული ფიგურებისა და პატერნების კომპოზიციით შექმნა.

პატერნების განხილვისას პირველ რიგში უნდა დავახასიათოთ პატერნის სტრუქტურა: რამდენაქტიანი პატერნია და რამდენჯერ მეორდება (ანუ პატერნის ხანგრძლივობა).

აღნიშნულ ნაწარმოებში პატერნები სტრუქტურის მიხედვით სხვადასხვაგვარია. ძირითადად გვხვდება ერთაქტიანი პატერნები, რომლებიც მეორდება ერთხელ: 3 ც-ის 1 ტ-იდან; 9 ც-ის 11 ტ-იდან. მეორდება ორჯერ: 7 ც-ის 10 ტ-იდან, 10 ც-ის 1 ტ-იდან, 26 ც-ის 1 ტ-იდან. მეორდება სამჯერ: 1 ც-ის 1 ტ-იდან, 7 ც-ის 2 ტ-იდან, 9 ც-ის 15 ტ-იდან, 16 ც-ის 5 ტ-იდან. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთაქტიანი პატერნი მეორდება 7-ჯერ: 4 ც-ის 1 ტ-იდან.

ორაქტიანი პატერნი, რომელიც მეორდება ერთხელ: 16 ც-ის 1-2 ტ-იდან. ასევე ორაქტიანი პატერნები: 8 ც-ის 1-2 ტ-იდან. მეორდება 5-ჯერ და 27 ც-ის 1-2 ტ-ებიდან, მეორდება 6-ჯერ.

გვხვდება სამაქტიანი პატერნებიც, რომელიც ერთხელ მეორდება 22 ც-ის 1-2-3 ტ-იდან. ასევე სამაქტიანი მეორდება ორჯერ 13 ც-ის 1-2-3 ტ-იდან.

ამრიგად, ამ ნაწარმოებში ძირითადად ერთაქტიანი პატერნებია, რომლებიც რამდენჯერმე მეორდება. მაგრამ გვაქვს ერთზე მეტაქტიანები, რომლებიც ერთხელ, ორჯერ და მეტჯერ მეორდება.

ახლა განვიხილოთ პატერნში მეტრის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ნაწარმოებში ძირითადად ერთგვაროვანი მეტრი გვაქვს პატერნებში, მაგრამ ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც პატერნში მეტრი იცვლება, ანუ ცვალებადი მეტრული პატერნი. ასეთია, მაგალითად: ორაქტიანი პატერნი 16 ც-ის 1-2 ტ-ებში, სადაც 6/8 იცვლება 5/8 -ზე.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, ე.წ. დაშორებული რიტმული პატერნები. ასეთია: სამტაქტიანი პატერნი 13 ც-ის 1-2-3 ტ-ში მოცემული, რომელიც მეორდება ორჯერ, მხოლოდ პატერნებს შორის პირველად სამტაქტიანი მონაკვეთია ჩასმული, ხოლო მეორედ - ოთხტაქტიანი. ეს პატერნი საინტერესოა მეტრის მონაცვლეობის თვალსაზრისით: 1-2 ტ-ში მეტრი არის 5/8, ხოლო 3 ტ-ში იცვლება 2/4-ზე. შემდეგ პატერნებს შორის პირველ შუალედში მეტრი იცვლება კვლავ 5/8-ზე. მეორე შუალედში 1-2 ტ-ში იცვლება 5/8-ზე, 3 ტ-ში იცვლება 2/4-ზე, ხოლო 4 ტ-ში კვლავ 5/8-ზე.

შემდეგი ასეთივე სახის პატერნია სამტაქტიანი, 22 ც-ის 1-2-3 ტ-ებში, რომელიც დაშორებულია ერთმანეთისაგან ერთი ტაქტით და სწორედ ამ ტაქტში არის მეტრის მონაცვლეობა. კერძოდ: პატერნის მეტრი არის 5/8 სამივე ტაქტში, ხოლო მათ შორის არსებულ მონაკვეთში ტაქტის მეტრია 3/8.

ჩვეულებრივ, პატერნი ერთმანეთის მიყოლებითაა განმეორებული. ეს მონაკვეთი კი განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს და დაშორებული პატერნია (პატერნსა და მის განმეორებას შორის მოთავსებულია ერთი ტაქტი). ამგვარი განლაგების პატერნს სიმეტრიული პატერნი ეწოდება.

ზემოთ განხილული იყო პატერნის სტრუქტურა ტაქტის რაოდენობისა და გამეორების მიხედვით.

ახლა განვიხილოთ პატერნები რიტმული ფიგურების მოცემულობის მიხედვით და პატერნში მონაწილე ინსტრუმენტების ფუნქციები.


საინტერესოა, როგორ არის აგებული თითოეული პატერნი რიტმული ფიგურის მიხედვით. გამოვყოფთ ორი სახის რიტმულ პატერნს:

1. მარტივი, რომელშიც მხოლოდ ერთი რიტმული ფიგურაა მოცემული ერთი ან რამდენიმე ინსტრუმენტისათვის ვერტიკალურ სინქრონში.
2. შედგენილი, როდესაც შრეებად არის მოცემული სხვადასხვა რიტმული ფიგურა ვერტიკალში.

თვით შედგენილი სახის რიტმულ პატერნში შეიძლება იყოს შრეებად ორი, ან მეტი წამყვანი რიტმული ფიგურა, ან მეტრის გამოხატვის რიტმული ფიგურა, ან წერტილოვანი დარტყმა და ა.შ. ყოველივე ეს დაშრეებული ვერტიკალში ქმნის შედგენილი სახის რიტმულ პატერნს.

განვიხილოთ მარტივი სახის რიტმული პატერნები (პატერნები დალაგებულია სირთულის მიხედვით):

- 9 ც-ის 15 ტ-ში (გვ. 31) მოცემულ ერთტაქტიან რიტმულ პატერნში მონაწილეობს მხოლოდ ერთი დასარტყამი ინსტრუმენტი დაფი (T-ro). მისი რიტმული ფიგურა წარმოდგენილია მერვედებით, PP-ზე. აღნიშნულ რიტმულ პატერნში მხოლოდ ერთ რიტმული ფიგურაა, ამიტომ ის მარტივი სახის რიტმული პატერნია.



- შემდეგი რიტმული პატერნია 13 ც-ის 1-2-3 ტ-ებში (გვ. 47). ეს არის სამტაქტიანი პატერნი, რომელშიც მონაწილეობს დასარტყამი ინსტრუმენტი ბონგი (Bongi), მისი რიტმული ფიგურა მოცემულია მეთექვსმეტედებით. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტრუმენტი ნაწარმოებში მხოლოდ ამ მონაკვეთშია,

რაც, თავის მხრივ, ტემბრულ ეფექტს იძლევა და ჟღერადობას ამდიდრებს. აღნიშნული პატერნიც მარტივი სახის რიტმული პატერნია.

The musical score consists of three staves: Timp (Timpani), Bonghi (Bonghi), and P-tti (P-tti). The Timp staff is in 5/8 time, starting with a *pp* dynamic. The Bonghi and P-tti staves are in 5/8 time, with the P-tti staff starting with a *p* dynamic. The score is divided into measures, with some measures containing rests and others containing rhythmic patterns. The time signature changes to 2/4 in the final measure of the Bonghi and P-tti staves.

- 3 ც-ის 1 ტ-ში (გვ. 13) მოცემულია ერთტაქტიანი რიტმული პატერნი, რომელშიც მონაწილეობს სამი დასარტყამი ინსტრუმენტი: პატარა დაფდაფი (T-ro), ტიმპანი (Timp) და დაფდაფი (Cass). სამივეს იდენტური რიტმული ფიგურა აქვს პულსირებული მეთექვსმეტედებით ვერტიკალურ სინქრონში. ამდენად, ის მარტივი სახის რიტმული პატერნია.

The musical score consists of four staves: Timp (Timpani), Tr-lo (Tr-lo), Bonghi (Bonghi), and T-ro (T-ro). The score is written in 2/4 time. The Timp staff is in 2/4 time, starting with a *p* dynamic. The Tr-lo, Bonghi, and T-ro staves are in 2/4 time, with the T-ro staff starting with a *p* dynamic. The score is divided into measures, with some measures containing rests and others containing rhythmic patterns. The time signature changes to 2/4 in the final measure of the Bonghi and T-ro staves.

- 7 ც-ის 2 ტ-ში (გვ. 22) მოცემულ ერთტაქტიან რიტმულ პატერნში არც ერთი დასარტყამი ინსტრუმენტი არ მონაწილეობს, არამედ გვაქვს ჰობოები (Ob), კლარნეტები (Cl), ვიოლინოები (V-no) და ალტები (Alt.). ისინი მოცემულია ვერტიკალურ სინქრონში მერვედიანი გრძლიობის ბგერებით, მეტრის გამომსახველი რიტმული ფიგურით. აღნიშნული პატერნიც მარტივი სახის რიტმული პატერნია.

The image displays three systems of musical notation. The first system consists of five staves, with the bottom three staves showing a rhythmic pattern of eighth notes. The second system also has five staves, with the top two staves marked 'solli' and the bottom three staves showing a rhythmic pattern. The third system has five staves, with the bottom three staves showing a rhythmic pattern. The notation includes various musical symbols such as notes, rests, and dynamic markings.

- შემდეგი ერთტაქტიანი პატერნი მარტივი სახის მრავალფუნქციური რიტმული პატერნია. 16 ც-ის 5-6-7-8 ტ-ებში (გვ. 56), რომელშიც მონაწილეობს დასარტყამი ინსტრუმენტებიდან მარაკასი (Marac.) ხოლო ორკესტრის სხვა ჯგუფის ინსტრუმენტებიდან: ფაგოტები (Fag) ტრომბონი (Tmb), ტუბა (Tub) და სიმებიანები. ისინი წარმოდგენილია ვერტიკალურ სინქრონში მეტრის გამომსახველი პულსირებული მერვედებით, მაგრამ განსხვავებული ფუნქციებით, რადგან მარაკასს (Marc.) და სიმებიანებს კოლორიტულობის და პულსაციის ფუნქცია აქვს, ხოლო ფაგოტებს (Fag), ჩელოებსა (Cell) და კონტრაბასებს (CB) ინტონაციური ფუნქცია.

The image displays a musical score for a symphony, featuring various instruments. The score is written in a standard musical notation with staves and notes. The instruments shown include strings (Violins I, Violins II, Violas, Cellos, Double Basses), woodwinds (Flutes, Oboes, Clarinets, Bassoons), brass (Trumpets, Trombones, Tuba), and percussion (Timpani, Maracas, Cymbals, Snare Drum). The score is divided into measures, with some measures containing multiple notes and rests. The notation includes various musical symbols such as clefs, key signatures, and dynamic markings.

- ახლა განვიხილოთ შედგენილი სახის რიტმული პატერნები (მათაც სირთულის მიხედვით წარმოვადგენთ). ჯერ წარმოდგენილი იქნება ისეთი რიტმული პატერნები, რომლებშიც რიტმული ფიგურის ორი შრეა მოცემული (ძირითადად ასეთები გვხვდება) ხოლო შემდეგ მეტი. რაც შეეხება შედგენილი სახის რიტმულ პატერნებს აღნიშნულ ნაწარმოებში ძირითად მრავალფუნქციური დაშრევებით გვხვდება.
- 10 ც-ის 1-2-3 ტ-ებში (გვ. 35) მოცემულია სამტაქტიანი რიტმული პატერნი. ეს პატერნი გამოირჩევა იმით, რომ ჩასაბერი ინსტრუმენტები ჰობოები (Ob) და ფაგოტები (Fag.) გამოყენებულია, როგორც დასარტყამი ინსტრუმენტები (სარქველებზე ხელის დარტყმით სულის ჩაბერვის გარეშე). ეს ორი ინსტრუმენტი ვერტიკალურ სინქრონიზია და პატერნში წამყვანი რიტმული ფიგურა აქვს მერვედებით. ამ პატერნში მონაწილეობს ჩელესტაც (Cell), რომელიც პულსირებული მერვედებითაა წარმოდგენილი და მეტრის პულსს გამოხატავს.

საინტერესოა, რომ ამ პატერნში არც ერთი დასარტყამი ინსტრუმენტი არ მონაწილეობს, რაც აღნიშნული (ჩასაბერი) ინსტრუმენტების ჟღერადობას მკაფიოდ და ეფექტურად წარმოაჩენს.

ამრიგად, ამ პატერნში რიტმულად განსხვავებული ფიგურებია დაშრევებული და შესაბამისად შედგენილი სახის რიტმული პატერნია.

- 9 ც-ის 11 ტ-ში (გვ. 30) ერთტაქტიანი შედგენილი რიტმული პატერნია ორი დასარტყამი ინსტრუმენტის მონაწილეობით: დაფი (T-no) PP-ზე და სამკუთხედი (Tr-lo) P-ზე. მათ შორის წამყვანი რიტმულ ფიგურა აქვს დაფს (T-ro). სამკუთხედი (Tr-lo) მესამე თვლაზე შემოდის ერთნახევრიანი გრძლიობით, წერტილოვანი დარტყმით და მეტრის მეოთხე თვლას გამოჰყოფს.

- 16 ც-ის 1-2 ტ-ებში (გვ. 56) მოცემულია ორტაქტიანი შედგენილი რიტმული პატერნი, რომელშიც დასარტყამებიდან მონაწილეობს მარაკასი (Marac.), ხოლო ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებიდან: ტრომბონი (Tromb), ტუბა (Tub), ჩელოები (Cel) და კონტრაბასები (CB). მარაკასს (Marc) მერვედებით აქვს მეტრის გამომხატველი რიტმული ფიგურა, ხოლო პირველ ტაქტში ჩელოები (Cel), კონტრაბასები (CB), ტუბა (Tub) და ტრომბონი (Tmb) მეოთხე თვლაზე აქცენტირებული და შეკავებული ბგერით გამოირჩევა მარაკასის (marc.) რიტმული ფიგურისაგან, რის გამოც აღნიშნული პატერნი შედგენილი რიტმული პატერნის სახეს იღებს.

The musical score is a complex arrangement for a percussion and woodwind ensemble. It features multiple staves for different instruments, including Timp (Tympani), Iaracas (Maracas), T-ro (Tom-tom), P-tti (Pandeiro), C-III (Cello III), SIL (Soprano), and Archi (Archi). The percussion section is highly rhythmic, with various dynamics and articulations. The woodwind section includes parts for cel legno (cello wood), col legno (col legno), and arco (arco). The score is marked with 'C 4274 K' at the bottom.

- 8 ც-ის 1 ტ-ში (გვ. 24) მოცემულ რიტმულ პატერნში ორი დასარტყამი ინსტრუმენტი მონაწილეობს: ტიმპანი (Timp) და პატარა დაფდაფი (T-ro), ხოლო ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებიდან: ჩელოები (cel), კონტრაბასები (CB) და ფაგოტები (Fag.). პატარა დაფდაფისა (T-ro) და ტიმპანის (Timp) პატერნის წამყვანი რიტმული ფიგურა აქვს მერვედით და მეთექვსმეტედებით ვერტიკალურ სინქრონიზში, ხოლო ჩელოები (Cel), კონტრაბასები (CB) და ფაგოტები (Fag.) პულსირებული მერვედებითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, პატარა დაფდაფისა (T-ro) და ტიმპანის (Timp) რიტმულ ფიგურას ემრევება ჩელოები (Cel) და კონტრაბასები (CB) განსხვავებული რიტმული ფიგურით, რის შიდეგადაც ვიღებთ შედგენილი სახის რიტმულ პატერნს.

- 22 ც-ის 1-2-3 ტ-ებში გვ (72) მოცემულია სამტაქტიანი რიტმული პატერნი. ტიმპანს (Timp), პატარა დაფდაფს (T-ro), ფაგოტსა (Fag.) და კონტრაბასებს (CB) ერთი და იგივე რიტმული ფიგურა აქვთ ვერტიკალურ სინქრონში, მაგრამ მეტრის მეორე თვლის გაძლიერებისა და გამოყოფის ფუნქციით მოცემულია თეფშების (Pitti) წერტილოვანი დარტყმა მეორე მერვედზე, ნახევრიან გრძლიობით, *ff*-ზე. ამრიგად, ესეც შედგენილი სახის რიტმულ პატერნია.

- 26 ც-ის 1 ტ-ში (გვ. 86-87) მოცემულ რიტმულ პატერნში ორი დასარტყამია: ტიმპანი (Timp და პატარა დაფდაფი (T-ro). სხვა ინსტრუმენტები: ფაგოტები (Fag), ვალტორნები (Val.) ჩელოები (Cell) და კონტრაბასები (CB).

პატარა დაფდაფს (T-ro) და ვალტორნებს (Val) წამყვანი რიტმული ფიგურა აქვს პულსირებული მერვედებით, ვერტიკალურ სინქრონიზი, ხოლო ტიმპანებს (Timp), ფაგოტებს (Fag), ჩელოებსა (Cell) და კონტრაბასებს (CB) მეტრის გამომსახველი რიტმული ფიგურა მერვედებით ვერტიკალურ სინქრონიზი. ამრიგად, გვაქვს ორი რიტმული ფიგურის დაშრევა, რის შედეგადაც ვიღებთ შედგენილი სახის რიტმულ პატერნს.

1 ც-ის 1 ტ-ში (გვ. 7-8) მოცემულია ერთტაქტიანი რიტმული პატერნი, რომელშიც მონაწილეობს სამი დასარტყამი: ტიმპანი (Timp), პატარა დაფდაფი (T-ro) და დაფდაფი (Cass), ასევე ორკესტრის სხვა ინსტრუმენტები: სიმებიანები, კლარნეტები (Cl), ფაგოტები (Fag.), ტრომბონი (Tmb) და ტუბა (Tub).

პატარა დაფდაფსა (T-ro) და სიმებიანებს აქვს წამყვანი რიტმული ფიგურა, პულსირებული მეთექვსმეტედებით, ვერტიკალურ სინქრონში. ტიმპანს (Timp), დაფდაფს (Cass), კლარნეტებს (Cl), ფაგოტებს (Fag.), ტრომბონს (Tmb) და ტუბას Tub) მეტრის გამომსახველი რიტმული ფიგურა, მერვედებით და მეოთხედებით, ვერტიკალურ სინქრონში. ამრიგად, დაშრევებულია ორი განსხვავებული რიტმული ფიგურა, რის შედეგადაც ვიღებთ შედგენილი სახის რიტმულ პატერნს.



- 4 ც-ის 1 ტ-ში (გვ. 15.) წარმოდგენილია ერთტაქტიანი რიტმული პატერნი სამი დასარტყამით: ტიმპანი (Timp), მარაკასი (Marc.), პატარა დაფდაფი (T-ro) და ორკესტრის სხვა ინსტრუმენტები: ფაგოტი I-II (Fag), ვალტორნა (Val), საყვირები (Tr-be), ტუბა (Tub), ალტები (Alt.), ჩელოები (Cel.) და კონტრაბასები (CB). ამ პატერნში ერთმანეთზე დაშრევებულია განსხვავებული რიტმული ფიგურები ვერტიკალურ სინქრონში. იდენტური რიტმული ფიგურებით ინსტრუმენტები ასეა დაჯგუფებული:
1. პატარა დაფდაფი (T-ro), ალტები (Alt.) წამყვანი რიტმული ფიგურით, პულსირებული მეთექვსმეტედებით;
 2. მარაკასი (Marc) და ფაგოტი II (Fag), ჩელოები (Cel.) და კონტრაბასები (CB) - მეტრის გამომსახველი აქცენტირებული რიტმული ფიგურით, მერვედებით.

3. ტიმპანი (Timp) და საყვირები (T-be) აქცენტირებული, წერტილოვანი დარტყმით, რომელიც მეტრის მეორე თვლას გამოჰყოფს.
4. ფაგოტი I (Fag), ვალტორნა (Val) და ტუბა (Tub) მეტრის გამომსახველი რიტმული ფიგურით, მერვედებით.

ამ პატერნში რიტმული ფიგურების განსხვავებული ოთხი შრეა თავმოყრილი შესაბამისად შედგენილი სახის რიტმული პატერნია.



- 7 ც-ის 10 ტ-ში (გვ. 23) მოცემულია ერთტაქტიანი რიტმული პატერნი, რომელშიც მოცემულია ექვსი დასარტყამი ინსტრუმენტი: ტიმპანი (Timp), პატარა დაფდაფი (T-ro), დაფდაფი (Cass), ხის კოლოფი (Legno), თევზები (Pitti) და სილოფონი (Sil), რაც შეეხება ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებს, ისინიც მრავლადაა წარმოდგენილი: კლარნეტები (Cl), ფაგოტები (Fag)

ვალტორნები (Val) საყვირები (T-be) ტრომბონები (Tmb), ტუბა (Tub), ჩელოები (Cel.) და კონტრაბასები (CB).

იდენტური რიტმული ფიგურის მიხედვით ეს ინსტრუმენტები ასე დაჯგუფდება:

1. კლარნეტები (Cl), ალტები (Alt) და ტრომბონები (Tmb) მეტრის გამომსახველი, აქცენტირებული მერვედებით, წამყვანი რიტმული ფიგურით.
2. ფაგოტები (Fag), ტუბა (Tub), ტრომბონი (Tmb), ტიმპანი (Timp), ჩელოები (Cel.) და კონტრაბასები (CB) ვერტიკალურ სინქრონში, ერთგვაროვანი რიტმული ფიგურით.
3. დაფდაფი (Cass) მეტრის პირველ ხოლო ხის კოლოფი (Legno) მესამე თვლას აქცენტირებული წერტილოვანი დარტყმით გამოჰყოფს.
4. ვალტორნების (Val), საყვირების (Tr-be) და ქსილოფონის (Xilf) აქცენტირებული რიტმული ფიგურა, მერვედებით, მეტრის მეორე და მესამე თვლაზეა წარმოდგენილი.
5. პატარა დაფდაფის (T-ro) რიტმული ფიგურაა მერვედებით და პირველ, მეორე და მესამე თვლას გამოჰყოფს. ამ პატერნში ხუთი განსხვავებული რიტმია ძირითადად მერვედებით გადანაწილებული და დაშრევებული რაც შესაბამისად შედგენილ რიტმულ პატერნს წარმოადგენს.



ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატერნებში წამყვან რიტმულ ფუნქციას ძირითადად დასარტყამი ინსტრუმენტები ასრულებენ, თუმცა მათთან ერთად (იშვიათად მარტო) ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებიც გვხვდება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არადასარტყამი ინსტრუმენტები რიტმულ პატერნში დასარტყამი ინსტრუმენტების იმიტაციას ქმნიან, რადგან წინ იწევს კლასტერული და სონორული ჟღერადობა, რაც პატერნის რიტმულ ფიგურას ააქტიურებს და ხაზს უსვამს.

წინამდებარე ნაწარმოები საინტერესოა პატერნების რიტმული ფიგურების შედგენილობითა და მარავალფუნქციური დაშრევების თვალსაზრისითაც. ინსტრუმენტები დატვირთულია სხვადასხვა გამომსახველობითი ფუნქციებით, რაც ნაწარმოების ჟღერადობას მრავალფეროვანსა და მიმზიდველს ხდის.

გვინდა აღვნიშნოთ კომპოზიტორის დამოკიდებულება ინსტრუმენტებთან აკუსტიკური მონაცემების თვალსაზრისით პატერნში. ბიძინა კვერნაძე განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევს ინსტრუმენტებს, რათა არ დაირღვას აკუსტიკური ბალანსი. ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობს დინამიურ ნიშნებსაც და იყენებს მათ ჟღერადობის დასაბალანსებლად.

არ არის შემთხვევით, რომ პატერნში წამყვანი რიტმული ფიგურების შესასრულებლად გამოყენებულია: პატარა დაფდაფი (T-ro), მარაკასი (Maracas), ბონგი (Bong), ან დაფი (T-no), რადგან ამ ინსტრუმენტებს ახასიათებს აკუსტიკურად ბგერის ხანმოკლე ჟღერადობა, რის გამოც რიტმული ფიგურის თავისებურებას მკაფიოდ და გამოკვეთილად გამოხატავენ. ამავე დროს კომპოზიტორი ითვალისწინებს წარმოდგენილი ინსტრუმენტების ტემბრულ თავისებურებებს და ამის მიხედვით არჩევს ინსტრუმენტებს დაშრევებისას, რომლებიც ერთმანეთის ჟღერადობას ავსებენ და ამდიდრებენ. მაგ.: პატარა დაფდაფი (T-ro) და სამკუთხედი (Tr-lo) ერთად ან მარაკასი (Maracas) და სხვა დანარჩენი დასარტყამი ინსტრუმენტები ვერტიკალში ან ტიმპანი (Timp), პატარა დაფდაფი (T-ro) და დაფდაფი (Cass) ვერტიკალურ სინქრონში ან პატარა დაფდაფი (T-ro) და ალტები (Alt.) ან პატარა დაფდაფი (T-ro) და ვალტორნებს (Val) და სხვ.

რაც შეეხება ჟღერადობის დაბალანსებას დინამიური ნიშნების გამოყენებით, შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიტორი ამას ყველგან ითვალისწინებს. კონკრეტულად პატერნებთან დაკავშირებით დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: პატერნში სამკუთხედი (Tr-lo) *p*-ზეა მოცემული, ხოლო პატარა დაფდაფი (T-ro) *pp*-ზე ან პატარა დაფდაფი (T-ro) *ff*-ზეა, ტიმპანი (Timp) კი *fff*-ზე ან თეფშები (P-tti) ნახევრიანი გრძლიობით *ff* -ზეა, ხოლო ტიმპანი (Timp), პატარა დაფდაფი (T-ro) და დაფდაფი (Cass) *f*-ზე ან ტუბა (Tub) *fff*-ზეა ხოლო ტიმპანი (Timp), პატარა დაფდაფი (T-ro) და დაფდაფი (Cass) *f* -ზე სიმებიანები, კლარნეტები (Cl) და ფაგოტები (Fag.) კი *ff* -ზე და სხვ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიძინა კვერნაძის ნაწარმოები „ბერიკაობა“, ქორეოგრაფიული პოემა, დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, საინტერესოა რიტმული პატერნების თვალსაზრისითაც. ძირითადად გვაქვს ერთტაქტიანი რიტმული პატერნები, რომლებიც რამდენჯერმე მეორდება, ასევე გვხვდება 2-3-4 ტაქტიანი რიტმული პატერნები. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაწარმოები გაჯერებულია მცირე რიტმული მონაკვეთებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ნაწარმოები რიტმული სურათის თვალსაზრისით კარგადაა ორგანიზებული. ამის განმსაზღვრელია თვით ნაწარმოების შინაარსი. ეს არის სადღესასწაულო, საცეკვაო მუსიკა, რომელშიც, ბუნებრივია, რიტმულ მონაკვეთებს, რომლებიც უმეტესად დასარტყამი ინსტრუმენტებით სრულდება დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კომპოზიტორი დასარტყამ ინსტრუმენტებს იყენებს როგორც რიტმული ფიგურების გამოსაყოფად, ასევე საერთო ჟღერადობის გასაძლიერებლად. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოს დასარტყამი ინსტრუმენტების გამოყენება სხვა ფუნქციებით: ჰარმონიული, ინტონაციური, ტემბრალური, კოლორიტული და ა.შ.

რიტმული მონაკვეთების კონცენტრაცია ქმნის ინტენსიურ პატერნებს, რომლებიც მთელ ნაწარმოებში კუნძულებივითაა მოცემული. ისინი ნაწარმოების მთლიან ქარგას ქმნიან, რომელზედაც აგებულია ნაწარმოები. ჩვენი აზრით, პატერნებს დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული მიზანსცენებისა და ძველი ქართული რიტუალების წარმოსახვითი სახეების შექმნაში, რომელიც მხატვრულ გამოსახვას ემსახურება.

თავის მხრივ, პატერნებისა და რიტმული მონაკვეთების ხშირი მონაცვლეობა კი ნაწარმოების დინამიურობის განმსაზღვრელია.

Article received: 2013-09-05